აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 4

01 აგვისტო 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრები თამაზ შარმანაშვილი და გია გარსევანიშვილი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარადგინა დღის წესრიგის პროექტი

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 27 ივნისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

3. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 27 ივნისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, უსკო-ს 2007 წლის 27 ივნისის №6 დადგენილებით, განსაზღვრული აქვს იმ სამსახურებისა და მოხელეების ჩამონათვალი რომლებიც არ დაექვემდებარებიან სავალდებულო სერთიფიცირებას, კერძოდ, ეკონომიკური, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საკადრო სამსახურები. ასევე მან აღნიშნა, რომ 2008 წლის უმაღლეს საბჭოს არჩევნების პერიოდში უსკოს 2008 წლის 28 ივლისის №2 დადგენილებით უნდა შეიქმნას კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახური, რომელიც ეკონომიკური, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საკადრო სამსახურებთან ერთად არ უნდა დაექვემდებაროს სავალდებულო სერთოფიცირებას, რადგანაც ამ სამსახურის საქმიანობა პირდაპირ არ არის დაკავშირებული საარჩევნო პროცედურასთან, სხდომის თავმჯდომარემ ასევე მუხლობრივად განიხილა ყველა ის ცვლილება რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის 1-ლი მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში იმ სამსახურებისა და საშტატო ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომელთაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 27 ივნისის №6 დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიის ეკონომიკური, კადრების, საზოგადოებასთან ურთერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის შტატით გათვალისწინებული მოხელეები არ დაექვემდებარონ სავალდებულო სერტიფიცირებას.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში 2008 წლის 30 ივლისს განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, უსკო-ს კომისიის წევრთა რაოდენობა 2008 წლის უმაღლეს საბჭოს არჩევნების პერიოდში განისაზღვრა 13 წევრით, ასევე აღნიშნა, რომ არჩევნების მომზადებასთან და მისი ორგანიზებულად ჩატარების მიზნით აუცილებელია გაიზარდოს უსკოს აპარატი შტატგარე და დამხმარე მოსამსახურეებით. ყოველივე ზემოაღნიშნული კი გამომდინარე იწვევს უსკოს აპარატის როგორც დაფინანსების ზრდას ასევე საშტატო განრიგში ცვლილებებს რისთვისაც ბიუჯეტის შესახებ კანონში უკვე განხორციელებულია შესაბამისი ცვლილება. ასევე

	მუხლობრივად განიხილა ყველა ის ცვლილება რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.
აზრი გამოთქვეს:	წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ
კენჭისყრის შედეგი:	მომხრე 4; წინააღმდეგი 0; კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 28^1 მუხლის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის 1-ლი მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგი:

ა) უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა და წევრები თანახმად №1 დანართისა;

ბ) უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი თანახმად №2 დანართისა.

2. დამტკიცდეს საარჩევნო პერიოდში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე) უმაღლეს საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების და კომისიის წევრების რაოდენობა და სახელფასო განაკვეთი თანახმად №3 დანართისა.

3. დამტკიცდეს საარჩევნო პერიოდში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან 3 თვის განმავლობაში) დამხმარე მოსამსახურეების, ტექნიკური პერსონალისა და შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობა და სახელფასო განაკვეთი თანახმად №4 დანართისა.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 27 ივნისის №3 განკარგულება.

5. ამ განკარგულების მე-2 პუნქტი ამოქმედდეს უმაღლეს საბჭოს 2008 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობამდე.

6. ამ განკარგულების მე-3 პუნქტი ამოქმედდეს უმაღლეს საბჭოს 2008 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 3 თვით.

7. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

8. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ 2008 წლის 30 ივლისს უმაღლეს საბჭოს 2008 წლის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით ცვლილებები და დამატებები განხორციელდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონიში, რის საფუძველზეც უსკო-ზე დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად, უსკოს მიერ დამტკიცებული უნდა იქნას 2008 წლის ხარჯთაღრიცხვა კვარტლების მიხედვით, სხდომის თავმჯდომარემ ასევე განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის 1-ლი მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვა თანახმად დანართისა.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 09 იანვრის №1 განკარგულება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია